



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

16/02/2024



MES 3 24 0000188573

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 12 იანვრის №21586 გადაწყვეტილებაშიცვლილებების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 12 იანვრის №21586 გადაწყვეტილებაში (შემდგომში - №21586 გადაწყვეტილება) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1.1 №21586 გადაწყვეტილების „2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთების“ 2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ცენტრის 2023 წლის 16 აგვისტოს №1000964 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2023 წლის 30 ოქტომბრის №1458363 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით, განახორციელა 2023 წლის 27 ნოემბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:“

1.2 №21586 გადაწყვეტილებაში განხორციელდეს ცვლილება და დანართ №1-ში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს: „2028 წლის 1 ივლისი“.

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის №179610 ოქმის №9 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



რ. რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

